

# „ბან"

## ახალი ანბანი



### წიგნი II

თბილისი





# „ბან“

## ახალი ანბანი

თუ სწავლით თვით ვერ აჰმაღლდი,
მამულს ხეირს ისე ვერ მოუტან,
ხეირს, მოდგმულსა მტრობისგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: „ბ“

აკაკი

36739

## წიგნი II

## ხალხური ლექსები

თბილისი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა — მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия нау

Дозв. цензурою Тифлисъ, 17 Января 1892 г.

სტამბა ქართველთა ამხანაგობისა (მანსვეტოვისა)

Тип. Груз. Издат. Товарищ. (Мансветова).

# კ ვ ე რ ი ა

კიკი-რიკი მთაზედა,
კვერი იწვა ქვაზედა;
მიველ, ტყავი ავხადე,
შიგ აბაზი ვიპოვე.
წაველ, დედას ვახარე,
დედამ კვერი დამიკრა,
მამამ ტყეში წაიღო,—
მამამ კვრიტი მომგვარა.
კვრიტმა კვერცხი დამიდო,
ამიგორდა-ჩამიგორდა,

კუტის ცოლთან მიმიგორდა.
კუტის ცოლი შინ არ იყო,
კარებს უკან ფურსა სწველდა.



ფურმა წიხლი გაიქნია,
ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია.

# ახალი კაბა

დედამ კაბა შემიკერა
დარაია შრიალაო,
გავკარ ხელი, გავიხადე,
სკივრში ჩავდე ფრიალაო
ნაპერწკალი ჩაჭყოლოდა
სახელო-ავ ზღუტაშიაო;
მეორე დილით ავხადე:
ნავლი მეცა თვალშიაო;
დავჯექ და ბევრი ვიტირე
იმ ოხერ დარბაზშიაო.

# თაგვებისა და კატის ომი

## I

თაგვებმა დასვეს ხელმწიფე,
სახელად კანაფარია.
წავიდნენ, ცოლი მოჰგვარეს,
მზეთუნახავი ქალია.
შვიდ დღე-ღამე ჰქმნეს ქორწილი,
აწვიეს მთა და ბარია.
სამოცი დაკლეს ფურ-ბერწი,
სხვა უთვალავი ცხვარია;
იმდენი ღვინო დალიეს,
რამდენიც ალაზანია.

## II

მთაზედ გადმოჩნდა ლაშქარი,
გადმოაბნელა მთანია:
ციცის დაჭერას ფიქრობდნენ,
მძიმე შეჰყარეს ჯარია.
ციცას მიუხდნენ კარზედა:



—ციცავ, გაგვიღე კარია!
ციცა ციხეში შევიდა,
მაგრა ჩაკეტა კარია:
—მე თქვენ კარს როგორ გაგი-
კვირა შაბათის მალია. |ღებთ,

## III

ორშაბათ დილა გათენდა,
ციცამ გალესა ხმალია,
ყელს ლარი გადაიკიდა,
ბროლით ნაჭედი ხმალია;
თაგვებში გამოერია,



დიდ დადგა ცოდვა-ბრალია,—
გასწყვიტა დიაც-ყმაწვილი,

ცამდი ააგო მკვდარია,
თაგვებს მოუკლა ხელმწიფე,
გააგდებინა თავია.

## IV

შაყრილან თაგვთა უფროსნი,
დიდი აქვთ არჩევანია.
არჩიეს, გამოარჩიეს,—
ლოკოკინ მუხლად მალია.



ეხვეწნენ ლოკოკინასა:
ისპაანს გაგვეგზავნია,

იქ უკვდავების წყაროა,
ის წყალი მოგვიტანია.
—მე ისპაანსა ვერ წავალ,
სიცხეა, ბობოქარია;
მე მაშინ წავიდოდია,
რო იყოს წვიმა-წყალია.
შავიდა ლოკოკინაი,
თან შაიყოლა რქანია,
გამაგრდა თავის ციხეში,
მაგრა ჩაკეტა კარია.



# ფეხმოტეხილი კურდღელი

კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხმოტეხილი, საწყალი;
ზურგზედ ეკიდა საგზალი,
თუნგ ნახევარი მაჭარი.



ნეტა წინ მაინც შევყროდი,
მე ვიყავ იმის ვაჭარი.

# მაჩვი

საწყალი მაჩვი ჩიოდა:
«არ მომივიდა ძილია:
ერთსა ბოსტანსა მივაგენ,
გამოვუთხარე ძირია.
ყველაფრის გემო გავიღე,
წიწმატმა დამწვა პირია.
უცებ ვიხედე, მომდევდა
პატრონი, გზირის შვილია.
მხარზე გაედო კომბალი,
გათლილი შვინდის ძირია.
გადმომკრა, გადმომიშხუვლა,
ცამდე ავასხი ტვინია;

მაგრამ ტვინს ვინღა
ჩიოდა,
ცოლშვილი დამრჩა
ქვრივია.
ცოლიც მალე გათხოვ-
დება,



ობლები დამრჩა წვრილია.
ობლებიც დაიზრდებიან,
თავი დავკარგე გმირია».

---

## კ ა ტ ა

აცხა და აცხა, კატაო,
რას შამომჩხავი კარსაო!
მაწვნისა ქოთანს ნუ მოჰლოკ,
თორე დაგამტვრევ თავსაო.

---

## რ წ ყ ი ლ ი

წუხელის რწყილმა მიკბინა
იმ შუა ღამის ხანსაო.
ავდექ, ავანთე სანთელი,

მივუევ იმისა გზასაო.
შუა გზაზე დავეწიე,



ყელზე მოვაბი თასმაო.
ალმასის ხმალი გავტეხე
იმისა ყელის ჭრასაო;
ალმასის დანა გავტეხე
იმისა ტყავებასაო;
ალმასის ცული გავტეხე
იმისა შუა მკალსაო.

დავუდე ასსა ურემსა,
ორას უღელსა ხარსაო.
მიაქვს და მიაჭრაჭუნებს,



მიამტვრევს ფერსო-ჭალსაო.
ამას ქალაქში ჩავიტან
დიდი მელიქის კარსაო,—
აბაზად ლიტრას გავყიდი,
სამწვადეს—შაურადაო.
უყურეთ მოგებასაო!...

# ჩიტი და ფეტვი

ორმოში ფეტვი ჩავყარე
შესანახადაო;
ორმოში წყალი ჩასჳლა
დასალპობადაო;



ორმოდგანა ამოვყარე
გასაშრობადაო.

ჩიტი ღობეზე შემოჯდა
ასაკენკადაო;
ჩიტსა ჯოხი წამოვუსვი
მოსაკლავადაო;
ჩიტი ბატონთან გაიქცა
საჩივლელადაო.
ჩიტმა კაცი მოიყვანა
დასარბევადაო;
იმან სრულიად წამართვა,
რაც რამ მებადაო.

# მოჯამაგირე

მოჯამაგირის საქმესა
ადვილად იტყვის ენაო:
გაურეკავენ ნახირსა,—
წაასხი ნელა-ნელაო;
თან გაატანენ სამ კუტსა,—
ეს ჭამე ნელა-ნელაო;
გააყოლებენ მწევრებსა,—
დააჭერინე მელაო.
თუ კურდღელი დაიჭირო,
ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო;
თუ მელა დააჭერინო,
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო.

# მ ო ზ ვ ე რ ი

მოზვერო, მოგდის კალონი,
თვალი ფხით აგევსებაო!
—ნეტა მოვიდეს კალონი,
საბძელი ამევსებაო!

# საბრალო დედაბერი

საბრალო დედაბრისასა
თაგვნი ყანასა მკიანო,



ლომნი უკრეხენ ულოსა
და ვეფხვნი შეუკვრიანო.

დევნი ურემსა აბიან,



ირმები მნასა ჰყრიანო.
მშველნი კევრებში შებმულან,
კალოს კარს დაჰრბენიანო;
ზედ ანგელოზნი უსხედან,
წვრილის ხმით დასძახიანო;
ჭინკები მარდად უქცევენ,

ყანასა გაჰფიცხიანო;



ტახნი მისწევენ კალოსა,
მელები კუდით ჰგვიანო.
წერონი ანიავებენ
და ბატნი დაჰკმაზიანო.
დათვებს ჰკიდიათ ტომრები,

ორმოში პურსა ჰყრიანო.
მგლები წისქვილში გაგზავნეს,
პურს მალე დაუფქვიანო.



შაშვი ფქვილს ჰმტკიცავს, გნო-
ლი ჰზელს,
კაჭკაჭნი ამოჰქნიანო;
მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა,
და კვრიტნი ამოჰყრიანო.
ზეცას ტოროლა გაგზავნეს,
ფრინველსა მოჰკრიბიანო.
—შენს მადლსა ჩხიკვნი ნუ გინდა,

სუფრასა აგვიშლიანო.
სილამაზითა ხოხობი
შუაში ჩაისვიანო,
ბულბული გალობისთვისა
სულ თავსა დაისვიანო,
საწყალი ბერი ქედანი
ბოლოში მოიგდიანო.



ერთად ჰსმენ, სჭამენ, ლხინობენ,
ჰარალეს დასმახიანო.

---

# კ ა ლ ი ა

ყალა გადავხან ფეტვადა,
შიგ ამოვწყვიტე ხარია,
დავთესე, არ ამოვიდა,
დაადგა გვალვა-დარია.
წაველ და ტყეში გავთალე
სამასი ადლი ღარია:
სულ ჩემ ნახნავში მივუგდე
მთელი ალაზნის წყალია.
როდესაც სამკელად წაველ,—
ფეტვს დაჰხვევია კალია.
გადავხტი ჩვენსა ვენახში,
მოვგლიჯე დიდი სარია:

გადვუჭირ-გადმოვუჭირე,
დაკოჭლდა ერთი კალია.
გადვუხტი, თავზე დავაჯექ,



ხანჯლით გამოვჭერ ყელია.
ალმასის კბილი ჰქონია,
ღმერთო, შენ დაგვიფარია!

---

# ხ ა რ ი

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი ქვაზედა;
გარს გალავანი არტყია,
ცა ახურია თავზედა.
ადამიანის შენახვა
ვერავინ იდვა თავზედა:
ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი
გაჭირდა მეტად, ძალზედა.
ხარმა სთქვა, პირმა-ნათელმა:
«მე დავიწერავ თავზედა».
მოცვივდნენ ანგელოზები,
დაჰკოცნეს ორსავ თვალზედა,

ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი,



მიაკრეს ორსავ რქაზედა:
—წადი, ხარო, იმუშავე
ერთგულად მთა და ბარზედა!
ექვსი დღე უღელში ები,
მეშვიდეს დაწევ მხარზედა;
ვინც კვირა-უქმით შეგაბას,
ხელი შეახმეს მკლავზედა.

# ვირი და მგელი

ვირი გაუშვეს მინდვრადა:
სვი წყალი, ხვრიმე ნარიო.
ჭალაზე შემოჩვეულა
ერთი პირ-მურა მგელიო.
—დაიცა, ვირო, მომიჭერ
პატარა სუკი, მხარიო;
ამოგაბრუნო გზის პირსა,
ამოგიტრიხო თვალიო!
—მგელო, შენ ვერას მიიღებ,
ყელს დაგადგება ძვალიო.
ქალაქით მომიტანია
სამი მარილის ქვანიო,
პატარას შენაც გიწილებ,

შაინელოდი მხალიო.
—არ ვიცი მხალა-მხულასი,
არა ¦სჭამს ჩემი გვარიო!
ჩემს მამა-პაპას უყვარდა
გამოსახრავი მჳალიო.
წამოწე, წამოიჭიმე
მსუქანი კუდის თავიო;
დიდი არ დაიყლოყინო,
არ შამიყარო ჯარიო;
კუდი არ დაარცმაცუნო,
არ გამომთხარო თვალიო.



37
ა 949

# ცხვარი და არწივი

ცხვარს ყვავები დაჰხვევია,
არწივმა მათ ზარი დასცა.
ცხვარმა მადლობა შესწირა,
მან-კი სარჩოდ წარიტაცა.

37
v 949